პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 306 (9774) | სამშაბათი, 29 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა (მე-2 გვერდი).
ახალი წლის მოჯნაზე (მე-2 გვერდი).
კოროვაკანელი მანქანათმშენებლები ბათუმში (მე-2 გვერდი).
საყურადღებო სიგნალები. — მრავალთა შორის გამონაკლისი. მეშახტეები ავტოტრანსპორტით [illegible] (მე-3 გვერდი).
სანიმუშოდ მოვემზადოთ საგზაო-[illegible] უშლის ხელს ტრაქტორების [illegible] მოსავლის საწინდარია. ულიანოვკელი მექანიზატორები ამ დღეებში. გამოვასწორებთ ნაკლოვანებებს (მე-3. გვერდი).
სადღეისო თემაზე. — მტს-ის სახელოსნო (მე-3 გვერდი).
თეთრ ფონზე — თეთრი ლაქები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გაღაჭრით გავაუმჯობესოთ აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები ყოველდღიურად აძლიერებენ ბრძოლას მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის, თვალსაჩინოდ იზრდება კადრების, როგორც ყოველი საქმის გადამწყვეტი ძალის, როლი.

სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ახალი სისტემა, რომელიც ჩვენში 1950 წლიდან იქნა შემოღებული, სოციალისტური სოფლის მეურნეობისადმი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

აგროზოოტექნიკური კურსების სამი წლის მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ჩვენი კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა მეურნეობების მუშები დიდ ინტერესს იჩენენ სწავლისადმი და რომ მიჩურინული მეცნიერების დაუფლების ეს გზა სოფლად დიდი პოპულარობით სარგებლობს.

კურსების მუშაობის შედეგად ბევრგან ამაღლდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

სამი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო სოფლის მეურნეობის პირველი და მეორე თანრიგის ოსტატის წოდება, მათ რიცხვში საქართველოში — 40 ათასმა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც გასულ სასწავლო წელს აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობაში იყო. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა 25 პროცენტი აგროზოოტექნიკური კურსების გარეშე იყო დარჩენილი, ხოლო წელს სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები დაამთავრა იმ მსმენელთა ნახევარზე ცოტა მეტმა, რომლებიც 1950-51 სასწავლო წელს შეუდგნენ მეცადინეობას.

მოსალოდნელი იყო, რომ გასული წლის მუშაობის არასახარბიელო მაგალითი საგულისხმო გაკვეთილი გახდებოდა ყველასათვის, ვინც მოწოდებულია კურსები გადააქციოს მოწინავე გამოცდილების ნამდვილ სკოლად, მასობრივი საკოლმეურნეო კადრების სამჭედლოდ, მაგრამ ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ. მიუხედავად იმისა, რომ წელს რესპუბლიკაში წინა წლებთან შედარებით აგროზოოტექნიკურ კურსებზე მეცადინეობა უფრო ორგანიზებულად დაიწყო, ბევრგან დიდი ნაკლოვანებებია, იმეორებენ ძველ შეცდომებს. მაგალითად, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, თუ არა კურსების მუშაობის შეუფასებლობით, რომ გორის რაიონში, სადაც გასულ წელსაც ცუდი მდგომარეობა იყო, წელს პირდაპირ თვითდინებაზე მიუშვეს აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა. შედეგიც სავალალოა: რაიონის 59 კოლმეურნეობიდან კურსები არ ჩამოუყალიბებიათ 23 კოლმეურნეობაში. აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის ასეთი შეუფასებლობა აშკარად მოწმობს, რომ პარტიის გორის რაიკომმა (მდივანი ამხ. ი. რთველიაშვილი) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ზ. თავზარაშვილი) სათანადო დასკვნები არ გააკეთეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებიდან, დაივიწყეს, რომ კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური სწავლება ითვლება მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ, კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის განუყოფელ ნაწილად, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ პირობად.

არაორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი აგროზოოტექნიკურ კურსებზე ხაშურის, წყალტუბოს და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

რედაქციას მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგან ჯერ კიდევ დაბალია აგროზოოტექნიკურ კურსებზე სწავლების იდეური დონე. სწავლება ტარდება საკოლმეურნეო წარმოებისაგან მოწყვეტით, ნაკლებია ამ საქმისადმი კონტროლი და მომთხოვნელობა.

აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობას დიდად უშლის ხელს სპეციალური სამეცადინო ოთახების, მაგიდების, სკამების, დაფების, სასწავლო ინვენტარისა და მასალის უქონლობა.

ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობაში სასწავლო წლის დაწყების უკვე ორი თვის თავზე ვხედავთ, ადასტურებს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კერძოდ მისი სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მთავარი სამმართველო ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობს მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების საქმეს აგროზოოტექნიკურ კურსებზე.

რესპუბლიკის მოწინავე აგროზოოტექნიკური კურსების (ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის, მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობები და სხვ.) მუშაობის მაგალითი მოწმობს, რომ შეიძლება მაღალ დონეზე დავაყენოთ ყველა კურსების მუშაობა, თუ კი იქნება სათანადო მონდომება, დაინტერესება, პასუხისმგებლობის გრძნობა.

აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობისათვის არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც წელს. პარტიის მოწოდების პასუხად სოფლად მუდმივ სამუშაოზე წავიდა სოფლის მეურნეობის მრავალი სპეციალისტი, რომლებიც თავიანთი სახელისა და ღირსების საქმედ თვლიან სათანადო წესრიგი დაამყარონ აგროზოოტექნიკურ სწავლებაში, უზრუნველყონ კვალიფიციური ხელმძღვანელობა ყოველ კოლმეურნეობაში.

ისევე, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ყოველ უბანზე, გაიზარდა მტს-ების როლი და პასუხისმგებლობა კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური სწავლების ორგანიზაციისათვის. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების მთავარ სამმართველოს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ადგილებზე აქამდე არ გარდაუქმნიათ მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად.

კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვს, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მკვეთრად გაძლიერონ ყურადღება ამ საქმისადმი. ისინი ვალდებული არიან იყვნენ აგროზოოტექნიკური კურსების ყოველდღიური მუშაობის კურსში, კონტროლი დააწესონ მათს საქმიანობაზე, საჭირო შემთხვევებში განიხილონ აგროზოოტექნიკური სწავლების ცალკეული საკითხები და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მათი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, თუ როგორ ხდება კურსების მასწავლებელთა შერჩევა, საჭირო ბინებით, ინვენტარით, თვალსაჩინოებების საშუალებებით, გათბობითა და განათებით უზრუნველყოფა.

საჭიროა კურსების მსმენელებს გულდასმით შევასწავლოთ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ისეთი უახლესი მიღწევანი, როგორიც არის კარტოფილის, სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, მარცვლეულის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, პირუტყვის საკვების შემზადების ახალი წესები, ბაგურ-ბანაკური შენახვის ხერხები და სხვ. ისინი უნდა იცნობდნენ აგრეთვე იმ მდიდარ ტექნიკას, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფომ შეაიარაღა სოფელი.

კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკურ სწავლებაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კინო, სისტემატურად მოვაწყოთ მსმენელთა ექსკურსიები მოწინავე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მათი შეხვედრები საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებსა და მეცნიერებთან. სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, რომლებიც აქამდე ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობაში, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ აღმოუჩინონ შესაძლო დახმარება კოლმეურნეთა მასობრივ სწავლებას — იქნება ეს წრეების მოწყობა, სემინარებისა და კონსულტაციების ჩატარება, პრაქტიკული მეცადინეობის გეგმების შედგენა თუ სხვა რამ.

აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით ახალი მიღწევები მოვიპოვოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ალექსანდრე არტემის-ძე კამლაძის** გარდაცვალებას.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

სოფლის მეურნეობისათვის

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მოსკოვის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. საწარმომ საბჭოთა მეურნეობებს პროგრამის დამატებით გაუგზავნა ცხრა ათასზე მეტი დანა თივის სათიბი მანქანებისათვის და 1.500-მდე ელექტრომოტორი.

გაითვალისწინა რა თავისი შესაძლებლობანი, საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო ახალ წელს იმავე საწარმოო ფართობებზე ერთიოთხად გაადიდოს ელექტრომოტორების გამოშვება. (საკადესი).

მცირეგაბარიტიანი მოწყობილობა საფეიქრო საწარმოებისათვის

პენზა, 26 დეკემბერი. (საკადესი). ბალაშიხინის საფეიქრო ფაბრიკას გაუგზავნეს პირველი მცირეგაბარიტიანი საგრეხი მანქანა, რომელიც შექმნა პენზის მანქანათმშენებელმა ქარხანამ. ამ ახალი აგრეგატის წონა ჩვეულებრივთან შედარებით შემცირებულია 1.100 კილოგრამით. იქ, სადაც წინათ ორი მანქანა იდგა, ახლა მოთავსდება სამი.

ქარხნის ექსპერიმენტულ საამქროში მიმდინარეობს მცირეგაბარიტიანი სართავი მანქანის „3-88-4" აწყობა, რომელიც შექმნა ინჟინერთა ჯგუფმა ამხ. კუზნეცოვის მეთაურობით. შემუშავებულია და მზადდება ჩქაროსნული მანქანა მატყლისა და ბამბის ფასონური ნაგრეხი ნართის მისაღებად.

მეხუთე ხუთწლედის წლებში პენზის მანქანათმშენებელი ქარხანა ქარხანა-ლაბორატორია გახდა. მცირეგაბარიტიანი საგრეხი და სართავი მანქანები, რომლებიც აქ იქმნება, ხელს შეუწყობს ფეიქრებს გაადიდონ პროდუქციის გამოშვება არსებულ საწარმოო ფართობებზე.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, 26 დეკემბერს ხელი მოაწერეს ოქმს 1954 წელს სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ვაჭრობისათვის ტრადიციული საქონლის ურთიერთმიწოდებას. საბჭოთა კავშირი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონელს, მათ შორის, ბამბეულს, აბრეშუმისა და შალეულის ქსოვილებს, შაქარს, ფქვილს, აგრეთვე ნავთობის პროდუქტებს, ავტომანქანებსა და მოწყობილობას. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს მიაწვდის პირუტყვს, მატყლს, კარაქს, ტყავის ნედლეულს და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ს. ა. ბორისოვმა, მონღოლეთის მხრივ — ვაჭრობის მინისტრმა ჯ. ბატორმა.

ვალდებულებანი შესრულებულია

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1953 წლის სახელმწიფო გეგმა.

პარტიის XIX ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამრეწველო საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ ვადამდე — 17 დეკემბერს შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის სახელმწიფო გეგმა. ნომენკლატურის მეტ წილ უმნიშვნელოვანეს ნაწარმთა გამოშვების გეგმა 26 დეკემბერს შესრულდა.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მძიმე მრეწველობის საწარმოებმა. 1952 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ფოლადის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ავტომობილების, ორთქლმავლების, ელექტრომოტორების, ძალტრანსფორმატორების, საკისრების, ზუსტი ხელსაწყოების, მინერალური სასუქების წარმოება.

ახრულებენ რა პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებებს, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ ასეულ მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, წარმოების უკეთესი ორგანიზაციის დანერგვისათვის, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის ბრძოლის შედეგად სამრეწველო საწარმოებმა მიაღწიეს პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას.

მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს 1953 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, წლის განმავლობაში არათანაზომიერად მუშაობდნენ და ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის გამოშვება გეგმით დაწესებული ოდენობით.

მოწინავე საწარმოთა მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობაში არის წარმოების უდიდესი რეზერვები. ეს რეზერვები მთლიანად უნდა გამოვიყენოთო.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1954 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და თვითეული საწარმოს რენტაბელური მუშაობისათვის, საწარმოო ფართობების გაუდიდებლად პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

26 დეკემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს XII პლენუმი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა.

ხაზგასმით აღნიშნა რა უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამისა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა პროფკავშირების როლს მის შესრულებაში.

მომხსენებელმა სერიოზულად გააკრიტიკა სოფლის მეურნეობისა და დაძზადებათა მუშაობისა და მოსამსახურეების პროფკავშირი. ამ პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და მისი ძირეული ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში მუშებისა და სპეციალისტების მზარდ აქტივობას, რომლებიც იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

რკინიგზის ხაზი აქმოლინსკი-პავლოდარი

აქმოლინსკი, 26 დეკემბერი. (საკადესი). დამთავრდა აქმოლინსკ-პავლოდარის გზის მშენებლობა. გზა გადაცემულია მუდმივ საექსპლოატაციოდ.

ერეიმენტ-ტაუს სადგურზე მშენებელთა მიტინგზე მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კოლიკოვმა განაცხადა, რომ კომისიას შესაძლოდ მიაჩნია მიიღოს აქმოლინსკ-პავლოდარის 438 კილომეტრი სიგრძის ხაზი მუდმივ საექსპლოატაციოდ და კარგი შეფასება მისცა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის მშენებლობის საჰმართველოს უფროსმა ამხ. გულაკოვმა ილაპარაკა მშენებელთა თავდადებულ შრომაზე. შესრულებულია 11 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები. შექმნილია 198 ხელოვნური ნაგებობა. ველზე აშენდა ახალი რკინიგზის სადგურები ყეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლებით, კლუბებით, სკოლებით.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ქერიმბაევმა თაღთან გადაჭრა ლენტი. პავლოდარის მხრიდან გამოჩნდა საშენი ხე-ტყითა და ქვანახშირით დატვირთული დიდი შემადგენლობა. მეორე გზაზე გაიარა აქმოლინსკიდან მომავალმა მატარებელმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინელი ხალხის გამარჯვება

პეკინი, 27 დეკემბერი. (საკადესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო" დღეს მოწონავე სტატიაში სათაურით „დიდი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო მშენებლობაში", წერს: „დამთავრდა მშენებლობა და გუშინ საზეიმო ვითარებაში ამუშავდა ანშანის მეტალურგიული კომბინატის სამი დიდი საწარმო. ეს დიდი მოვლენა პირველი ხუთწლედის პირველ წელს ჩინეთის მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში და დიდი გამარჯვებაა ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში".

„ამ სამი საწარმოს მშენებლობის წარმატებით დამთავრება, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — ჩინელი და საბჭოთა ხალხების დიდი მეგობრობის შედეგია. ამ საწარმოთა დაპროექტება, მშენებლობა, მონტაჟი, მოწყობილობის გამოცდა და ამუშავება საბჭოთა კავშირის დახმარებით განხორციელდა. საბჭოთა კავშირმა არა მარტო მოგვცა პირველხარისხოვანი ტექნიკური მოწყობილობა და მომამზადა ბევრი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, არამედ კიდევაც დაგვეხმარა მოგვემზადებინა ექსპლოატაციის დარგის კადრები. ეკონომიური და ტექნიკური მხრივ ასეთ ყოველმხრივ უანგარო დახმარებას პრეცედენტი არ მოეპოვება მსოფლიო ისტორიაში".

ანშანის კომბინატის საწარმოთა მშენებლობის ესოდენ მოკლე ვადებში დამთავრება, აღნიშნავს გაზეთი, შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ჩინელი ხალხი ხელმძღვანელობს ჩინეთის კომპარტიისა და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მიერ დასახული გენერალური ხაზით, რომელიც ჩინელ ხალს შეეცურასავით უნათებს ჩინეთში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განუხრელი განხორციელების გზას, იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირი დიდ ძმურ უანგარო დახმარებას გვიწევს, იმის მეოხებით, რომ ამ საწარმოთა მშენებლების მთელი კოლექტივი ვმირულ შრომას ეწეოდა და რომ ამას ხელი შეუწყეს მთელმა ჩინელმა ხალხმა და ჩინელმა მუშებმა, რომლებმაც თავის დროზე შეასრულეს ანშანის კომბინატის მშენებელთა დაკვეთები.

ჰიდრონაგებობათა მშენებლობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 24 დეკემბერი. (საკადესი). მთავრდება უნგრეთის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა უდიდესი კომპლექსის მშენებლობა მდინარე ტისაზე. უკვე მთლიანად დამთავრებულია რკინაბეტონის კაშხალის მშენებლობა. მთავრდება ჰიდროელექტროსადგურისა და გემების გასაშვები რაბის მშენებლობა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა მთავარი არხის გაყვანისათვის, რომლითაც მძლავრი კაშხალით აწეული ტისის წყალი წავა ხორტობადის გვალვიანი ველებისაკენ. მდ. ტისაზე გემების გავლის გაუმჯობესებისათვის მდინარის ძველი კალაპოტი, რომელიც სოფელ ტისალეკთან მკვეთრად უხვევს, გასწორებულია, რისთვისაც გაყვანილია 120 მეტრი სიგანისა და 3 კილომეტრიანი სიგრძის არხი.

გუშინ ტისის წყალი ახალი კალაპოტით გაუშვეს. ამავე დროს მოეწყო კაშხალის ტექნიკური გამოცდა.

პოლონეთში გამოიცა მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი

ვარშავა, 24 დეკემბერი. (საკადესი). გამომცემლობა „წიგნმა და ცოდნამ" პოლონურ ენაზე გამოუშვა მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი. ამჟამად დასაბეჭდად მზადდება შემდეგი სამი ტომი.

დღეს უკრაინაში







ხარკოვის საწარმოთა კოლექტივები ახალი შრომითი წარმატებებით ხვდებიან რუსეთთან უკრაინის შეერთების მოახლოებულ 300 წლისთავს. ხარკოვის მთელი რიგი ქარხნები ეჯიბრებიან რუსეთის სფსრ საწარმოთა კოლექტივებს. ეს სურათები გადაღებულია ხარკოვის სამ ქარხანაში, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური პროგრამა.

1. ტრაქტორების ასაწყობი ქარხნის მუშებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან ასობით მანქანა. ბაღისა და ბოსტნის სათოხნი ტრაქტორი „ხტზ-7" ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. **ს ურ ა თ ზ ე:** ტრაქტორების ასაწყობი მთავარი კონვეიერი. წარმოების წარჩინებული მუშები ამწყობები დ. მელიკოვი და ა. ოლეშკო ხისტემატურად ორ-ორ ნორმას ასრულებენ.

2. ქარხანა „მეხანოლიტი", რომელიც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის 25-მდე სახელწოდების მოწყობილობას უშვებს, წლის დამლევისათვის გეგმის გადამეტებით მოგვცემს 6 მილიონი მანეთის პროდუქციას. **ს ურ ა თ ზ ე:** მაცივარი დანადგარები საცდელ სადგურზე კომპრესორების ასაწყობ საამქროში.

3. ხარკოვის ტელეფონის კომუტატორის ქარხანა ტელეფონის ავტომატურ სადგურებს უშვებს. ისინი კონსტრუირებულ იქნა კავშირგაბმულობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლებთან თანამეგობრობით. ახლა სადგურები დადგმულია და მუშაობს ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში. სადგური სავსებით ავტომატიზებულია, ძალიან მარტივი და საექსპლოატაციოდ მოხერხებულია. **ს ურ ა თ ზ ე:** კავშირგაბმულობის ტექნიკოსი ვ. ივანოვი ამოწმებს სადგურს სამონტაჟო-საამწყობო საამქროში.

ფოტო ა. ნოვიკოვისა.

პარტიული ცხოვრება

სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა

ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, ახორციელებდა რა პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ერთგვარად გააძლიერა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. წარმატებას მიაღწია ქალაქის მრეწველობამ, რომელმაც მიმდინარე წლის თერმომეტი თვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს მისცა 21 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ამის შესახებ ილაპარაკეს მომხსენებელმა — საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ლომიძემ და მოკამათეებმა. მაგრამ მათ, სამწუხაროდ, საკმაოდ არ გაამახვილეს ყურადღება იმ ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაზე, სადაც კვლავ გრძელდება ჩამორჩენა. ქალაქის ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არიან საავტომობილო ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, ხორცკომბინატი, სარეწაო კოოპერაციის არტელები.

ამ საწარმოთა ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად აიხსნება პარტიის საქალაქო კომიტეტისა და მისი სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობით. მაგალითად, საქალაქო კომიტეტში ხშირად და ბევრს ლაპარაკობენ ავტოქარხნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ ღრმად არ სწავლობენ ჩამორჩენის მიზეზებს.

— როგორც საქალაქო კომიტეტის ბიუროს, ისე ჩვენი ქარხნის პარტიული კომიტეტის სხდომებზე, — განაცხადა საავტომობილო ქარხნის საიარაღო საამქროს პარტბიუროს მდივანმა შ. როგავამ, — ბევრი კარგი დადგენილება მიიღეს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. მაგრამ იმის გამო, რომ დადგენილების შესრულებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. საქალაქო კომიტეტი ნაკლებად არის დაინტერესებული საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებით. ჩვენთან საამქროში პარტიულ კრებას ერთხელაც არ დასწრებიან საქალაქო კომიტეტის მუშაკები.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ბრძოლაში აგიტატორთა ამოცანების შესახებ“ გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. რ. ბზიშვილმა.

აღინიშნა, რომ დიცის, ტყვიავის, ქიწნისის, ბოშურის კოლმეურნეობებში სუსტად დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები კი ითმენენ ნაკლოვანებებს და არ იღებენ სათანადო ზომებს პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესებისათვის. თათბირზე განსაკუთრებით გაკრიტიკებულ იქნა ტყვიავის (გამგე ნ. ქარელი), შინდისის (გამგე დ. თათრიშვილი) და ტინისხიდის (გამგე გ. კალოვი) აგიტპუნქტების მუშაობა.

ზეიდულეთის აგიტპუნქტის გამგემ გ. ხმიადაშვილმა, კარალეთის კოლმეურნეობის აგიტატორმა თ. ხრილოკიაშვილმა, ტყვიავის მტს-ის პარტბიუროს მდივანმა რ. ურიგაშვილმა თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის თავიანთ გამოცდილებაზე.

თათბირი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე

ბოლრი. (საკ. კორ.). გაიმართა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეების, აგიტატორებისა და კლუბ-სამკითხველოების მუშაკთა რაიონული თათბირი. მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში აგიტატორთა ამოცანების შესახებ“ გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. რ. ბზიშვილმა.

აღინიშნა, რომ დიცის, ტყვიავის, ქიწნისის, ბოშურის კოლმეურნეობებში სუსტად დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები კი ითმენენ ნაკლოვანებებს და არ იღებენ სათანადო ზომებს პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესებისათვის. თათბირზე განსაკუთრებით გაკრიტიკებულ იქნა

კიროვაკანელი მანქანათმშენებლები ბათუმში



ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმში ჩამოვიდა კიროვაკანელ (სომხეთის სსრ) მანქანათმშენებელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქარხნის დირექტორი ხ. თათოიანი (დელეგაციის ხელმძღვანელი), პარტბიუროს მდივანი რ. დანელიანი, ორასოვანი ზეინკალ-ამწყობი ა. დალაქიანი, მექანიკურ-საამწყობო საამქროს უფროსი ვ. კაზარიანი, ხამსხმელო საამქროს უფროსი ოსტატი გ. გევორქიანი და მწერალი ნორ-აირი. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ბათუმელ მანქანათმშენებლებთან 1954 წლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაფორმება და მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

— კიროვაკანის მანქანათმშენებელი ქარხანა, — განაცხადა საუბარში ქარხნის დირექტორმა ხ. თათოიანმა, — ისევე როგორც ბათუმის ქარხანა, ამზადებს მანქანებს კვების მრეწველობისათვის. კერძოდ, ჩვენ ვუშვებთ რძისა და ყველის ქარხნების მანქანა-მოწყობილობას, ხოლო ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა — ჩაისა და ღვინის წარმოებებისათვის.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ახალ, გაზრდილ ამოცანებს აყენებს იმ ქარხნების კოლექტივების წინაშე, რომლებიც მანქანებს კვების მრეწველობისათვის ამზადებენ. მათი ვალია კვების მრეწველობას მიაწოდონ რაც შეიძლება მეტი და მანამოსაქმეთა მუშაობას და სტახანოველთა შრომის მოწონავე მეთოდებს. მანქანათმშენებელ ქარხანაში მოეწყო საერთო კრება, რომელზეც განხილულ და ხელმოწერილ იქნა კიროვაკანელ და ბათუმელ მანქანათმშენებელთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

— ...ლ ...ბ ...ბ ...ბ

საყურადღებო სიგნალები

მეშახტეები ავტოტრანსპორტით კმაყოფილი არ არიან

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ქალაქ ტყიბულში ავტოსატრანსპორტო კანტორა ჩამოყალიბდა. ქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ ტაქსი — „პობედები“ და ავტობუსები. დაწესდა ავტობუსთა რეგულარული მარშრუტები სხვადასხვა მიმართულებით. ქალაქის მშრომელნი ამას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენს სიხარულს მალე ფრთები შეეკვეცა. ავტობუსთა რიცხვი თანდათან შემცირდა. არის დღეები, როცა ქალაქში ორი ან ერთი ავტობუსი მუშაობს. ისინი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ მგზავრთა მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სამგზავრო მატარებლების მოსვლისა და წასვლის მომენტში.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს დღემდე არ გამოუგზავნია ტყიბულში დიდი ტევადობის არც ერთი ახალი ავტობუსი. მიღებული ავტობუსები რამდენჯერმეა შეკეთებული, ისიც დაბალხარისხოვნად და მალე გამოდის მწყობრიდან. იყო შემთხვევები, როცა რემონტიდან ახლად გამოსული ავტობუსი რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გაფუჭდა.

მეშახტეთა ქალაქის ავტოტრანსპორტის ცუდ მუშაობაზე ხშირად იწერება რესპუბლიკურ პრესაში, მდგომარეობა მაინც არ სწორდება.

არ გვჯერა, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს არ ჰქონდეს საშუალება უკეთესად მოაწყოს მეშახტეთა ქალაქში ავტოტრანსპორტის მუშაობა.

შ. ფურცხვანიძე,
სტახანოველი მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
მ. ცხვედიანი,
ა. კიკნაველიძე.

მრავალთა შორის გამონაკლისი

ბევრი კეთილმოწყობილი სოფელია ქარელის რაიონში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სოფელ დვანის შესახებ. ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობა ბევრ აუცილებელ და ადვილად მოსაგვარებელ საკითხს ყურადღებას არ აქცევს. დვანში მისასვლელი გზები გაფუჭებულია. მათი შეკეთება არცთუ დიდ სახსრებსა და შრომას მოითხოვდა, მაგრამ ამ საქმეს დღემდე გულშემატკივარი არ გამოუჩნდა.

მდინარე ფროზზე, რომელიც სოფელს ჩამოუდის, ხიდი არ არის. წყალდიდობის დროს მშრომელებს შორის ურთიერთობა ერთ-ერთ ადგილას ერღვევა. ორი წლის წინათ აბანოსათვის შენობა ააშენეს. ქვაბი და შიდამოწყობილობა კი არ შეეძინეს. ამიტომ მას აბანოსი მხოლოდ სახელი შერჩა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ძმორიაშვილმა შენობა სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენა: ბოსლად აქცია. სოფელში ორი წისქვილია, მოსახლეობის დიდ ნაწილს კი საფქვავი შორეულ სოფლებში მიაქვს, რადგან წისქვილები მოუწყობელია.

დაახლოებით აბანოს ბედი ეწია საკოლმეურნეო კლუბსაც. იგი ხშირად დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. კლუბში იშვიათად ეწყობა კულტურული ღონისძიებანი. სოფელს არც რადიო აქვს, თუმცა ამის მოგვარებაც ადვილად შეიძლებოდა. მეზობელი სოფელი რადიოფიცირებულია და იქიდან ხაზის გამოყვანა არცთუ ძნელი იყო.

დვანის კეთილმოწყობის ნაკლოვანებანი ცხადყოფენ როგორც კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის საბჭოს, ისე ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე ი. ნოზაძე) გულგრილ დამოკიდებულებას სოფლის მშრომელთა საჭიროებებისადმი.

გ. კოკაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩამორჩენილი სასოფლო საბჭოები“

წერილში, რომელიც ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 25 ნოემბრის ნომერში, გაკრიტიკებული იყო ვანის რაიონის მიქელეფონისა და ყუმურის სასოფლო საბჭოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

ვანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ლომინაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა. მიქელეფონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ულრიხიძეს და მდივანს ო. ჩხეიძეს არსებული ნაკლოვანებებისათვის საყვედური გამოეცხადათ, ხოლო ყუმურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მ. თვალბეიშვილსა და მდივანს ი. ქართველიშვილს მიეთითათ.

რაისაბჭოს აღმასკომმა დასახა ღონისძიებანი მიქელეფონისა და ყუმურის სასოფლო საბჭოებს აღმასკომების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის!

მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ

★ ★ ★ ★

სადღეისო თემაზე

მჯს-ის სახელოსნო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს ტიპური სარემონტო სახელოსნო. თუ ასეთი სახელოსნო გვექნება და მას სრულყოფილად, გონივრულად გამოვიყენებთ, მაშინ მთელ სატრაქტორო პარკს კარგად მოვამზადებთ მინდვრის სამუშაოებისათვის.

როგორც მექანიზატორები ამბობენ ხოლმე, კარგად მოწყობილი სახელოსნო მტს-ის გულს წარმოადგენს. ასეთი სახელოსნო ეგრეთწოდებული „პატარა ქარხანაა“, სადაც მუშაობენ სამრეცხაო, მექანიკური, სამსხმელო, საზეინკლო, სამჭედლო, ელექტრო, საამწყობო, სადურგლო და სხვა საამქროები. ტიპური სახელოსნო, მაღალკვალიფიციური კადრები საშუალებას იძლევა მოვაწყოთ ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით. ასეთ შემთხვევაში სახელოსნოს ყველა მუშაკმა იცის, რა უნდა გააკეთოს, რა სამუშაოსათვის აგებს პასუხს. ყოველი დავალება სრულდება მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად. რემონტის პერიოდში შესაძლებელი ხდება ორ ცვლად მუშაობის შემოღება.

კარგად მოწყობილი სახელოსნო არა მარტო მტს-ის, მანქანების შეკეთების ცენტრია, არამედ, შეიძლება თქვას, ტრაქტორისტთა აღზრდის, დახელოვნების, კვალიფიკაციის ამაღლების ნამდვილი სკოლაც არის.

მექანიზატორთა წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კარგად გამართულ სახელოსნოზე, საიდანაც უნდა გამოვიდეს მაღალი ხარისხით შეკეთებული აგრეგატები. ამ მხრივ მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ ულიანოვკის, წიფლწყაროს, ველისციხის მტს-ებს. ამ მტს-ებში გამართულად მუშაობენ ტიპური სახელოსნოები, დანერგეს ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი და წარმატებასაც მიაღწიეს. მეოთხე კვარტალის დავალებანი ვადამდე გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად გაანაღდეს. ასეთ სახელოსნოებში კვანძური რემონტისათვის ეწყობა 32-33 სამუშაო ადგილი, დიდი რაოდენობით აღადგენენ სათადარიგო ნაწილებს. შეკეთებულ ტრაქტორებზე სახელოსნოდან გამოსვლამდე აწყობენ ელექტროგანათებას ღამით მუშაობისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს, დაცულია უსაფრთხოების ტექნიკა და სხვ.

ბევრგან კარგი სახელოსნოები აქვთ, მაგრამ შეუწყნარებელია, რომ მათ ცუდად იყენებენ. მტს-ების დირექტორები, მექანიზატორები ვერ ირენენ შემოქმედებითს ინიციატივას, არ ნერგავენ სახელოსნოში ტრაქტორების რემონტის კვანძურ მეთოდს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან აბაშის, ბადიაურის, შირაქისა და გამარჯვების მტს-ები; მათ აქვთ ტიპური სახელოსნოები, მაგრამ დღემდე ვერ მოაწყეს ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ მტს-ში შენდება ტიპური სახელოსნოები, მაგრამ გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული მშენებლობის სწრაფად დასამთავრებლად. ასეა, მაგალითად, სამთავისის, მაიაკოვსკის და მთელ რიგ სხვა მტს-ებში.

ამ საქმეში უწინარეს ყოვლისა პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი მტს-ების მთავარი სამმართველო. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს სახელოსნოების მოწყობასა და გამართულ მუშაობაში.

სახელოსნოების უკეთ მოწყობაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც შეფობას უწევენ მტს-ებს.

ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს — სანიმუშო სახელოსნო!

მოწინავენი

თელავი. (საკ. კორ). **თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოში დღედაღამ არ წყდება მუშაობა. მექანიზატორებმა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება ვადაზე ათი დღით ადრე გაანაღდეს, მაღალხარისხოვნად შეაკეთეს 18 ტრაქტორი, ხუთი კომბაინი, 13 გუთანი, 10 სათესი, 7 კულტივატორი და სხვ. ენერგიული მუშაობით გამოირჩევიან მექანიზატორები გ. ძამუკაშვილი, ლ. შიუკაშვილი, თ. კაჭკაჭიშვილი, ზეინკალი ს. მალიანცი, ხარატი გ. გიმაშაშვილი, შემდუღებელი ვ. ხაჩატურიანი, მჭედელი ნ. ენჩაგო, რომლებიც დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.**

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი 1954 წლის იანვარში დაამთავროს.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია

აგრონომის რჩევა-დარიგება

კარგი თესლი მაღალი მოსავლის საწინდარია. ამიტომ წარმატებით მოემზადო საგაზაფხულო თესვისათვის — ეს ნიშნავს სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად მოიმარაგო და სათეს კონდიციამდე აიყვანო საჭირო სათესლე მასალა.

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევიან ლაგოდეხის, თბილისის გარეუბნის, მარნეულის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ყვარლის, ბოლნისის, ხონელაღის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებმაც უკვე შექმნეს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების დარაიონებული მაღალხარისხოვანი თესლის ფონდები. ახლა აქ გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს თესლის გაწმენდა, დახარისხება, ლაბორატორიული შემოწმება, სათეს კონდიციამდე აყვანა.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ხაშურის, თიანეთის, ბორჯომის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში შენახული სათესლე მასალის სამი მეოთხედი გაუწმენდავია.

ამოცანა ის არის, რომ 1954 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით სათესლე მასალა ყველა კოლმეურნეობაში დროულად გავწმინდოთ, დავახარისხოთ, სათეს კონდიციამდე ავიყვანოთ და უზრუნველვყოთ მისი წესიერად შენახვა. ამისათვის საჭიროა უახლოეს დღეებში ყველა კოლმეურნეობაში დამთავრდეს თესლის მაღალხარისხოვნად მომზადება და თესლი საწყობის გამგეს ჩაბარდეს მოვლა-პატრონობისათვის.

მტს-ების აგრონომებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ სერიოზული სამუშაოს შესრულებაში, უზრუნველყონ თესლის საწმენდი და დამხარისხებელი იარაღ-მანქანების მთელი დატვირთვით მუშაობა. მიღებულ უნდა იქნას ზომები თესლის მექანიზებული წმენდის შეფერხების და უხარისხოდ გაწმენდის თავიდან ასაცილებლად, დაჩქარდეს სათესლე ფონდების ლაბორატორიული შემოწმება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათესლე ფონდების სწორად შენახვას. თესლი უნდა ინახებოდეს კარგად შეკეთებულ, დეზინფექცირებულ საწყობებში.

არ უნდა იქნას დაშვებული სხვადასხვა ჯიშის თესლის ერთმანეთში შერევა. თესლი ცალცალკე უნდა შევინახოთ კულტურებისა და ჯიშების მიხედვით. საწყობში თესლის შენახვისას თვალყური უნდა ვადევნოთ ტემპერატურას თესლის ხვავში. ნორმაზე ზეგით მისი აწევის შემთხვევაში ხვავი უნდა გადავნიჩაბოთ, გავანაოვოთ. ყოველდღიური დაკვირვება უნდა ვაწარმოოთ მარცვალსაცავებში, რომ თავიდან ავიცილოთ თესლის დაზიანება მავნებლებისაგან.

ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონების მტს-ებში მარცვლის მექანიზებული საშრობები დიდად დაეხმარება ამ რაიონების კოლმეურნეობებს ჭარბტენიანი სათესლე მასალის გაშრობაში. საჭიროა მტს-ების მექანიკოსებმა უხელმძღვანელონ ამ საქმეს, სრული დატვირთვით და დანიშნულებისამებრ გამოიყენონ არსებული მოწყობილობანი.

სიმინდის სათესლე ტაროები ამთავითვე უნდა გადავარჩიოთ და მშრალ სასიმინდეებში შევინახოთ. სათესლედ უნდა შევარჩიოთ მხოლოდ უხვმოსავლიანი ნაკვეთებიდან მიღებული მოსავლის დარაიონებული ჯიშებისათვის დამახასიათებელი ტაროები.

მივიღოთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ გაზაფხულზე დასათესად მოვამზადოთ მაღალხარისხოვანი თესლი, მოვაწყოთ მისი სანიმუშოდ შენახვა ზამთრის პერიოდში, ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ 1954 წლის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანა.

აგრონომი ს. ეფრემიძე.

რა უშლის ხელს ჭრაქჭორების რემონტს?

სოფელ გამარჯვების მტს-ში (დირექტორი ამხ. ვ. ფიცხელაური) ტრაქტორების რემონტი არაორგანიზებულად მიმდინარეობს, ყველა შესაძლებლობა არა არის გამოყენებული ამ სამუშაოს დასაჩქარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ რემონტს დროულად შეუდგნენ, მეოთხე კვარტალის გეგმა სანახევროდ არის შესრულებული. შეკეთებიდან ჯერ კიდევ არ გამოუშვიათ № 8 სატრაქტორო ბრიგადის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელიც ორ თვეზე მეტია რემონტში დგას, ხოლო ამავე მარკის მეორე ტრაქტორისათვის, რომლის რემონტი 20 ნოემბრამდე უნდა დამთავრებულიყო, ხელიც არ უხლიათ.

ჩამორჩენა გამოწვეულია საჭირო კადრების უყოლობით, შრომის სუსტი დისციპლინით და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოფნლობით.

მაგალითად, მტს-ს არა ჰყავს სათანადო განათლების მქონე ინჟინერ-მექანიკოსი, ელექტრიკოსი, ხარატი, მსხმელი. ესეც იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ აქ რემონტი ჯუსტარული ბრიგადული წესით მიმდინარეობს და აქამდე არ არის დანერგილი პროგრესული კვანძური მეთოდი.

მტს-ის სახელოსნოში აკლიათ სახარატო ჩარხი, არა აქვთ ისეთი საჭირო დეტალები, როგორიც არის ბლოკები, ბლოკის სახურავები, „დტ-54“ მარკის ტრაქტორის წინაძელები. ხოლო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მტს-ს არც ერთი ცალი ტკანა ხიდი არ მიუღია.

მტს-ის დირექცია და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვიან მექანიზატორთა შორის შრომის დისციპლინის განტკიცებისა და რემონტის მაღალი ხარისხისათვის. № 9 ბრიგადაში „ნატის“ მარკის ტრაქტორის ტკანა ხიდი ნაწილების გაურეცხავად ააწყეს. № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ლ. გონაშვილმა თვეზე მეტია თვითნებურად მიატოვა სამუშაო. სამუშაოზე აღარ ცხადდება ტრაქტორისტი შ. ბატიაშვილიც.

მტს-ში ნაკლები ყურადღება ექცევა მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობებს. ტრაქტორისტები უზრუნველყოფილი არ არიან სათბობი მასალით. კოოპერაცია ცუდად ამარაგებს მათ კვების და სხვა პროდუქტებით.

ამ მტს-ში არსებული მდგომარეობა კარგად იციან პარტიის წიფლწყაროს რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში, მაგრამ ამ საქმეში რატომღაც ჩაურევლობის პოზიციაზე დგანან. სათანადოდ არ ეხმარება მტს-ს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების მთავარი სამმართველოც.

ა. ზუარაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ულიანოვკელი მექანიზატორები ამ დღეებში

საუბარი ულიანოვკის მტს-ის დირექტორ ამხ. ა. ბიწაძესთან

— დადგა საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადების გადამწყვეტი პერიოდი, — განაცხადა „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში ულიანოვკის მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ბიწაძემ.—ამიტომ ახლა მექანიზატორთა ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა სატრაქტორო პარკის სრულ წესრიგში მოყვანა, თესვისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი თესლის მომზადება.

ამ საქმეში ენერგიულად ჩაებნენ მტს-ში ახლად მოსული მექანიზატორები, სპეციალისტები, მთელი კოლექტივი. მტს-ში ახალი ის არის, რომ წელს მივადწიეთ ტრაქტორების კვანძური მეთოდით რემონტის სრულყოფილად განხორციელებას. მოწყობილი გვაქვს 33 სარემონტო ადგილი. ამან ხელი შეგვიწყო რემონტის IV კვარტალის გეგმის ვადამდე გადაჭარბებით შესრულებაში.

შევასრულეთ მისაბმელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის IV კვარტალის დავალებაც. შევაკეთეთ გუთნები, კულტივატორები, სათესები, სათიბები და სხვ.

მტს-ის მრმსახურების შვიდსავე კოლმეურნეობაში მომზადებულია თესვისათვის ხაკმაო მაღალხარისხოვანი თესლი.

საგაზაფხულო თესვისათვის ყველაზე უკეთ ემზადებიან სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ და სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

მტს-ის კოლექტივს ახლა ყველა საშუალება აქვს ფართოდ გამოიყენოს მოსავლიანობის გადიდების პროგრესული ღონისძიებანი, მით უმეტეს, როცა განხორციელებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის, დამუშავების, მოსავლის აღების სრული მექანიზაცია. შარშან ბოდბის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარზე სიმინდი დაითესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. მომავალი წლის გაზაფხულზე გათვალისწინებული გვაქვს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდი დავთესოთ 400 ჰექტარზე, მზესუმზირა — 300 ჰექტარზე.

კოლმეურნეობათა მინდვრებზე ბიბინებს შემოდგომის ხორბლის საუკეთესო ჯეჯილი. ამ დღეებში დავიწყებთ მის გამოკვებას მინერალური სასუქებით.

მტს-ის კოლექტივი ახალი შრომითი მაჩვენებლებით უპასუხებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას.

გამოვასწორებთ ნაკლოვანებებს

მიმდინარე წლის შემოდგომის არახელსაყრელმა პირობებმა ერთგვარი სიძნელეები შეგვიქმნა მზრალად ხვნაში. მტს-ის კოლექტივმაც ვერ მიიღო გადამწყვეტი ზომები და ამიტომ 3.000 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოხნულია 2.500 ჰექტარი. მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს დავალება უახლოეს დღეებში შეასრულონ.

პირველ რიგში ნიადაგებს ვამზადებთ ბოსტნეული და ტექნიკური კულტურებისათვის, საჭირო რაოდენობით შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები. ბოსტნეული კულტურების დასათესად მომზადებულია 194 ჰექტარი ფართობი, ხოლო შაქრის ჭარხლისათვის — 321 ჰექტარი.

სერიოზული ყურადღება ექცევა კონდიციური თესლის მომზადებას. ყველა კულტურის საჭირო თესლი მომზადებულია და აყვანილია კონდიციამდე. მაგრამ გვაკლია 270 ცენტნერი კარტოფილის თესლი. მიღებულია ზომები მისი სხვა რაიონიდან შემოზიდვისათვის.

კარტოფილის და სიმინდის თესვა ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა ჩავატაროთ. ამისათვის მანქანები წესრიგში მოვიყვანეთ, მზადდება კვალიფიციური კადრები ამ სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მტს-ში ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების შეკეთებისათვის დანერგილია მოწინავე მეთოდი — კვანძური რემონტი. უკვე შეკეთებულია 16 ტრაქტორი, 7 გუთანი, 7 ხოლი, 6 სათესი, 5 კომბაინი.

მტს-ის კოლექტივი გამოასწორებს არსებულ ნაკლოვანებებს და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება საგაზაფხულო სამუშაოებს.

ა. ბარბაქაძე,
აგარის მტს-ის დირექტორი.

თეთრ ფონზე — ეროვნული თეთრი ლექები

საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კედლის გაზეთის „სოციალისტური მეცხოველეობის“ ეს ნომერი გამოირჩეოდა სხვა ნომრებისაგან თავისი შინაარსითა და გაფორმებით. მასალათა შორის მკითხველის ყურადღებას იპყრობდა ორი მეგობრული შარჟიც, რომლებსაც მიზანში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ივანოვი და დოცენტი მათუაშვილი ჰყავდათ ამოღებული.

პირველი შარჟის ავტორი თუმცა სუსტი ლექსის სტრიქონებით, მაგრამ პირუთვნელად აკრიტიკებდა ამხ. ივანოვს, რომელმაც კუთვნილ დასვენების დღეს ერთი სამუშაო დღეც მიაყოლა და ინსტიტუტის ავტომანქანით ძაუჯიყაუ მოიარა. ხოლო ერთსტროფიანი თეთრი ლექსით მთავრდებოდა შარჟი, მიძღვნილი დოცენტ მათუაშვილისადმი, რომელმაც ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში პირადი საჭიროებისათვის ჟურნალ ფურცლები ამოხა.

როგორც ვხედავთ, ამ ფაქტების გამომზეურებაში ცუდი არაფერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისინი მხოლოდ ერთი დღის სინათლეს შეესწრნენ. ვერ წარმოიდგენთ, რა გაკვირვებული დარჩნენ ინსტიტუტის მუშაკები, როცა მეორე დილით ნახეს კედლის გაზეთის თეთრ ფონზე ამავე ფერის ლაქები!.. შარჟების ადგილას ქაღალდი დაეკრათ და მათი ნიშანწყალი წაეშალათ.

— რა მოხდა? — კითხულობდნენ გაკვირვებული მკითხველები და თავის თავს ზოგიერთები თვითონვე აძლევდნენ პასუხს: — ასე იციან შეუმოწმებელი ფაქტების გამოქვეყნებამო.

მაგრამ ფაქტიურად ასე როდი იყო საქმე. შარჟები დაფარული იქნა თვით... ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის ამხ. ლომბილაძის მითითებით, რასაც იგი თავის ახსნაგანმარტებაშიც ადასტურებს. იგი წერს, რომ ორივე შარჟზე თეთრი ქაღალდი გაკრულ იქნა მისი განკარგულებით, რადგან ეს ივანოვის მიმართ „მოტივირებული არ ყოფილა“, ხოლო რაც შეეხება დოცენტ მათუაშვილს, მისი ინსტიტუტში გაჩერება შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი შარჟი ჩამოუხსნელი დარჩებოდაო.

ჭქონდა თუ არა კედლის გაზეთს საფუძველი შარჟისათვის? ცხადია, ჰქონდა. ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებაში № 543 კეთხულობთ: „უმაღლესი სასწავლებლის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის გამოვლინებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინსტიტუტის სამკითხველოში ეურნალ „ცრესტიანკას“ მეათე ნომრიდან პირადი საჭიროებისათვის ფარულად ფურცლები ამოგლეჯა, დოცენტ მათუაშვილს ეუცხადება სასტიკ საყვედურს პირად საქმეში შეტანით (საფუძველი ბიბლიოთეკის გამგის ამხ. ე. ბაქრაძის განცხადება, დოც. მათუაშვილის განმარტებითი ბარათი)“.

კომენტარიები ზედმეტია.

რაც შეეხება ივანოვს, რომელსაც ძაუჯიყაუში წასვლის წინ ინსტიტუტის ხელმძღვანელობისაგან ერთი დღით გათავისუფლების მხოლოდ სიტყვიერი დასტური ჰქონდა, ხელფასიდან კაპიკიც არ დაუკავეს. ინსტიტუტის ავტომანქანაზე მან დასვა არა შტატის ავტომძღოლი, არამედ ვიწმე ოლენიკოვი, რომელსაც ამ დაწესებულებასთან „აკავშირებს“ მხოლოდ ის, რომ მისი მეუღლე მუშაობს ინსტიტუტში.

ასეთია ფაქტები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ. მაგრამ ინსტიტუტის პარტბიუროს ამ ფაქტებზე აგებულ მეგობრულ შარჟებში „არამეგობრული“ რამ ნახა. ეს არამეგობრულობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ კედლის გაზეთში დირექტორის მოადგილისა და დოცენტის გვარები დარჩებოდა, ისინი სტუდენტებს ვეღარ დაენახვებოდნენ, ავტორიტეტი დაეკარგებოდათო.

— აი თუ გნებავთ, ესეც მოტივი!

რა გაეწყობა, პარტბიუროს მდივანში კედლის გაზეთის — ამ დიდი საზოგადოებრივი ძალისადმი, მხარდაჭერას ძლია ცალკეულ პიროვნებათა „დახსნის“ სურვილმა.

საინტერესოა: ხშირად ხომ არ უხდება ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანს უხერხულობიდან დაიხსნას საერთო წესებისა და დისციპლინის დამრღვევნი?

გ. ზუკაკიშვილი,
შ. ჭოჭუა.

ახალი წიგნები

ე. გაბაშვილი — „რჩეული ნაწერები“, I ტომი, მოთხრობები, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 10.000, გვ. 488, ფასი 9 მან. 65 კაპ.

თხზულებათა ამ ტომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეტანილია ავტორის ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი (1870-1900 წლები). წიგნს დართული აქვს რედაქტორის გ. თავზიშვილის კრიტიკული წერილი „ეპატერინე გაბაშვილი“ და შენიშვნები.

თ. ჯანგულაშვილი — „ბალადა მიწის გაცოცხლებისა“, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 93, ფასი 2 მან. 95 კაპ.

წიგნში დაბეჭდილია ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები. იგი შედგება განყოფილებებისაგან: „სამგორის გაზაფხული“, „სიმღერა უკვდავებაზე“, „კომუნიზმის წინადღე“ და „არ მიწოვია ძუძუ ირმისა“.

შ. აკობია — „ლექსები, პოემა“, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 100, ფასი 3 მან. 35 კაპ.

ახალგაზრდა პოეტის ამ წიგნში შესულია 42 ლექსი და პოემა „ჩემი მასწავლებელი“. წიგნი შედგება 4 განყოფილებისაგან — „ბელადის მონუმენტთან“, „შობლიურ მხარეში“, „სიმღერა მშვიდობაზე“ და „ჩემი მასწავლებელი“.

ფრ. ხალვაში — „სალამი სანაპიროდან“, ლექსების კრებული, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1953 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 104, ფასი 1 მან. 65 კაპ.

კრებულში შეტანილია ავტორის 57 ლექსი. ისინი დაწერილია უკანასკნელ წლებში და ასახავს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, საბჭოთა ადამიანების საქმიანობას, სულიერ სამყაროს.

კულგურის სახლის კოლექტივის შეხვედრა სტუდენტებთან

მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის, რომელიც 1954 წლის ოქტომბერში მოეწყობა, დაიწყო მზადება საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლში. ამ დღეებში კულტურის სახლის ქართულმა თეატრალურმა კოლექტივმა სტუდენტთა ქალაქის კლუბში მოაწყო შეხვედრა სტუდენტებთან.

თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. ხუციშვილმა დამსწრეთ მოუთხრო კოლექტივის მუშაობის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ კოლექტივის წევრები მ. კიკნაძე, გ. ყანჩელი, სტუდენტები ვ. ხოცუაშვილი და კალუესკაია.

დასასრულ კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა დამსწრეთ აჩვენა ლ. ჭუბაბრიას პიესა „კარგი ამხანაგი“.

თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. შეკეთებულია 15 ტრაქტორი ნაცლად გეგმით გათვალისწინებული 12 ტრაქტორისა. სურათზე: (წინა პლანზე, მარცხნიდან მარჯვნივ) კონტროლიორი ი. ჯამალაშვილი და მტს-ის სახელოსნოს გამგე გ. გოგოლიძე ამოწმებენ ტრაქტორის შეკეთების ხარისხს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის საგანგებო სხდომა

ბერლინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის საგანგებო სხდომა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ფრიდრიხ ებერტმა.

ფრიდრიხ ებერტმა მაგისტრატის სახელით ურჩია დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობას მიმართოს დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებას შემდეგი წინადადებებით:

1. ქალაქის ორივე ნაწილის წარმომადგენლები ერთობლივ თათბირზე უნდა შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ გერმანიის დედაქალაქის მთელი მოსახლეობის სახელით ოთხ დიდ სახელმწიფოს წარუდგინონ განცხადება და სთხოვონ — მიიწვიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლები, როცა ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი განიხილავს გერმანელი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს;

2. მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ გერმანია არ შეიყვანონ აგრესიული ხელშეკრულებების — „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულებისა და ბონის სამხედრო ხელშეკრულების სისტემაში, რომლებიც ბერლინის გათიშვას აღრმავებენ და დამღუპველ გავლენას იხდენენ დასავლეთ ბერლინზე;

3. პოტსდამის შეთანხმების პრინციპების შესაბამისად აიკრძალოს ყველა ჯაშუშურ-აგენტურული ორგანიზაციის მუშაობა, როგორიც არის, მაგალითად, „არაადამიანურობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი“, „თავისუფალი იურისტების საგამომძიებელო კომიტეტი“, „აღმოსავლეთის ბიურო“ და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა სამხედრო და ფაშისტური ორგანიზაცია, როგორც, მაგალითად, „ფოლადის მუზარადი“, ჯარისკაცთა გაერთიანებანი და სამხედრო კავშირები;

4. ნებადართულ იქნას ყველა წიგნის, ჟურნალ-გაზეთებისა და ფილმების თავისუფალი გავრცელება, რომლებიც მოითხოვენ გერმანელთა შეთანხმებასა და მშვიდობას, სასჯელის შიშით აიკრძალოს ომის, შოვინიზმისა და ხალხთა შორის სიძულვილის პროპაგანდა;

5. ყველა პარტიისა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც შეთანხმებისა და მშვიდობისათვის იბრძვიან, უზრუნველყოფილ იქნას კოალიციებისა და კრებების სრული თავისუფლება;

6. მოეთხოვოს დასავლეთის სექტორების კომენდანტებს გააუქმონ ეგრეთწოდებული მცირე საოკუპაციო სტატუტის 1949 წლის 14 მაისის ყველა დადგენილება, რომლებითაც შეზღუდულია ბერლინის სუვერენიტეტი;

7. დაინიშნონ წარმომადგენლები, რომლებიც დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის წარმომადგენლებთან ერთად შეთანხმდებიან სრულიად გერმანიის შინა ვაჭრობის ხელშეკრულებისადმი ბერლინის დამატებით შეთანხმებაზე, რათა გადიდდეს საქონლის გაცვლა ბერლინსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის და გაუმჯობესდეს უმუშევართა მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში.

დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის დეპუტატებმა ერთსულოვნად მიიწონეს ეს წინადადებანი.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, ბერლინში ოთხი სახელმწიფოს მომავალ თათბირთან დაკავშირებით დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელს მოუწოდებს აქტიურად გამოხატოს თავისი ნება და თავისი მისწრაფება გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა და ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობისადმი.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის წარმატება

ვენა, 27 დეკემბერი. (საკდესი). ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია დიდი წარმატება ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისა, რომელიც ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა ავსტრიაში.

ერთთვიურში მონაწილეობას იღებდნენ ოფიციალურ ხელისუფალთა წარმომადგენელნი, ავსტრიის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, ბევრი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელნი. ყველგან ავსტრიის მოსახლეობის სხვადასხვა ფენას სულ უფრო მეტად აინტერესებს საბჭოთა კავშირის გიგანტური მშენებლობის წარმატებები, სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის. მეგობრობის ერთთვიურის დროს განხორციელდა ათასზე მეტი ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 150 ათასზე მეტი კაცი. საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები შეიქმნა ბევრ დასახლებულ პუნქტში, სადაც ისინი წინათ არ ყოფილა.

თურქეთის პრეზიდენტის მომავალი გამგზავრება ამერიკის შეერთებულ მგზავრებსა და პაკისტანში

სტამბოლი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც „ენი საბახი“, „ჯუმჰურიეთი“ და სტამბოლის სხვა გაზეთები იუწყებიან, თურქეთის პრეზიდენტი ბაიარი, რომელიც უახლოეს დროში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის, შემდეგ ინახულებს პაკისტანს.

ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის პოლონელ და ჩეხოსლოვაკიელ წევრთა განცხადება

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება: ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის წევრთა უმრავლესობამ 1953 წლის 23 დეკემბერს მიიღო და რომელიც უარყოფს კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლობის მოთხოვნას, რომ გაგრძელდეს ახსნაგანმარტებითი მუშაობა ჩინელ და კორეელ სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის მეურვეობაში იმყოფებიან, აღნიშნული კომისიის ჩეხოსლოვაკიელმა და პოლონელმა წევრებმა სინხუას საგენტოს და კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტოს წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადეს:

ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმების პირობების თანახმად, მხარეებს, რომელთაც ეკუთვნიან სამხედრო ტყვეები, ამ სამხედრო ტყვეთა შორის ახსნაგანმარტებითი მუშაობისათვის ეძლევათ 90 დღე. კორეის სახალხო არმიის სარდლობამ და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლობამ ახსნაგანმარტებითი მუშაობა უნდა დაწყებულიყო სარეპატრიაციო ნეიტრალური კომისიის მეურვეობაში სამხედრო ტყვეთა გადაცემისთანავე, ე. ი. 1953 წლის 25 სექტემბერს.

მაგრამ გაერთიანებული ერების სარდლობის მოქმედების შედეგად, რომელიც აჭიანურებდა ახსნაგანმარტებითი საუბრებისათვის სადგომების მშენებლობას, ახსნაგანმარტებითი მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1953 წლის 15 ოქტომბერს. ხოლო, როცა გაერთიანებული ერების სარდლობა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა აეშენებინა აღნიშნული ნაგებობანი, მან სხვა საშუალებებით ჩაშალა ახსნაგანმარტებითი მუშაობა, გამოიყენა რა ამ მიზნისათვის თავისი სპეციალური აგენტები. 1953 წლის 15 ოქტომბრიდან ახსნაგანმარტებითი მუშაობა რამდენჯერმე შეწყდა. ზოგჯერ ეს მუშაობა რამდენიმე კვირით წყდებოდა. ამ დანაშაულებრივ მოქმედებასთან დაკავშირებთან, რომლის მიზანი იყო ახსნაგანმარტებითი მუშაობის სრული ჩაშლა, ახსნაგანმარტებითი საუბრების მოწყობა შეიძლებოდა მხოლოდ შეზღუდული დროის და არა 90-გე დღის განმავლობაში. მთელ ამ ფაქტებს საკმაოდ კარგად იცნობს მსოფლიო საზოგადოებრიობა და ამიტომ საჭირო არ არის მათი კიდევ გამეორება. ყოველ დღეს სულ ახალი და ახალი დამამტკიცებელი საბუთი მოაქვს, თუ რა ტერორსა და ძალადობას მიმართავენ აგენტები ბანაკში. დაწვრილებით გამომეღაენდა ისეთი სამინელი დანაშაულობანიც კი, როგორიც არის სამხედრო ტყვეთა ბარბაროსული დახოცვა.

კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმება ორივე მხარეს ანიჭებს უფლებას მოაწყონ ახსნაგანმარტებითი მუშაობა 90-გე დღეში და ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა პირობა, რათა მხარეებმა ნამდვილად გამოიყენონ ეს ძირითადი უფლება.

შექმნილ ვითარებაში სარეპატრიაციო ნეიტრალური კომისიის ჩეხოსლოვაკიელმა და პოლონელმა წევრებმა მტკიცედ მოითხოვეს, რომ კომისიამ დაუყოვნებლივ მიიღოს ახსნაგანმარტებითი მუშაობის განგრძობისა და დაკარგული დროის ანაზღაურებისათვის საკმარი ღონისძიებანი, რათა ახსნაგანმარტებითი მუშაობა მოეწყოს 90-გე დღეში, როგორც ეს შეთანხმებული აქვს ორივე მხარეს. გადაწყვეტილება, რომელიც ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიიღო და რომელიც კორეა-ჩინეთის მხარეს ართმევს ახსნაგანმარტებითი მუშაობის მოწყობის უფლებას, ხოლო სამხედრო ტყვეებს იმის საშუალებას, რომ მოისმინონ ახსნაგანმარტებითი საუბრები და გამოთქვან რეპატრიირების სურვილი, კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმებისა და კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მეტად სერიოზული დარღვევაა.

ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციები მტკიცედ იღაშქრებენ საერთაშორისო შეთანხმებათა ასეთი დარღვევის წინააღმდეგ და არასოდეს არ დაეთანხმებიან თვითნებურ განმარტებას, რომელიც იმით ამოწურება, რომ სამხედრო ტყვეთა შორის ახსნაგანმარტებითი მუშაობა მოწყობილია დაზავების შესახებ შეთანხმების ძირითადი მუხლების შესაბამისად.

აღგანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტირანა, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, 24-25 დეკემბერს ალბანეთის შრომის პარტიის გენერალური მდივნის ენვერ ხოჯას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება „მშრომელი მასების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. მოხსენება გააკეთა ენვერ ხოჯამ. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ალბანეთის მთავრობამ განახორციელეს სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, და დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები.

ალბანეთის დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭოს მიმართვა ამომრჩევლებისადმი

ტირანა, 27 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ გუშინ გაიმართა დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭოს კრება. სახალხო საბჭოების არჩევნების მნიშვნელობისა და დემოკრატიული ფრონტის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა დემოკრატიული ფრონტის გენერალური მდივნის მოადგილემ მედარ შტიუელამ. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭოს მიმართვა ალბანელი ხალხისადმი.

ეს საარჩევნო კამპანია, ნათქვამია მიმართვაში, ჩაღდება ისეთ ვითარებაში, როცა მთელი ალბანელი ხალხი მონოლითურად დაირაზმა და ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის ახალი ცხოვრების წარმატებით აშენებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო კამპანია ეწყობა ისეთ ვითარებაში, როცა ალბანეთის მშრომელი მასები ყოველ ღონეს ხმარობენ ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ხოლო 1954 წელს — ხუთწლედის მეოთხე წელს — ემზადებიან ენთუზიაზმით აღნიშნონ ალბანეთის განთავისუფლების ათი წლისთავი. ჩვენი შემოქმედებითი შრომა, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარება, სახალხო დემოკრატიის გაძლიერება, ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, ემსახურება მშვიდობის დიდ საქმეს.

დემოკრატიული ფრონტის გენერალური საბჭო მოუწოდებს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს, ქალებს, ახალგაზრდობას — ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს, გაგზავნონ სახალხო საბჭოებში თავიანთი საუკეთესო შვილები.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა უფლებების დაცვის კონფერენციის შემდეგ

ბეირუთი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ლიბანისა და სირიის პრესა კვლავ ყურადღებას უთმობს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა უფლებების დაცვის კონფერენციას, რომელიც 19 დეკემბერს გაიმართა ბეირუთში. გაზეთი „ას-სარჰა“ მთელ ნომერს უძღვნის კონფერენციის შედეგებს.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ლიბანის, სირიის, ეგვიპტის, იორდანიის, ერაყის, საუდის არაბეთისა და ჰადრამაუტის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 98 დელეგატმა. დელეგატებს შორის იყვნენ პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, პროფკავშირების, სამედეცლების წარმომადგენელნი, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანები.

კონფერენციის გადაწყვეტილებანი გამოაქვეყნეს აგრეთვე ლიბანის სხვა გაზეთებმა და სირიის გაზეთებმა „ალ-ლივამ“ და „ალ-იაუმმა“.

ეხება რა ამ კონფერენციას, გაზეთი „ალ-ლივა“ წერს: „არაბ ხალხთა ნება მკაფიოდ იყო გამოხატული ხალხთა კონფერენციაზე, რომელიც ბეირუთში გაიმართა, და კონფერენციის გადაწყვეტილებებში. ეს ნება მკაფიოდ აქნება გამოხატული აგრეთვე ხვალ, როცა გაიმართება არაბთა ახალი სახალხო კონფერენციები, მას შემდეგ, რაც ბეირუთის კონფერენციამ გაუხსნა მათ გზა და მას შემდეგ, რაც არაბ ხალხთათვის აშკარა გახდა, რომ ძალუძთ მოიწვიონ თავიანთ წარმომადგენელთა თათბირი, რომლებიც გულწრფელად გამოხატავენ მათ ნებას“.

გენერალ ტიმაიას განცხადება

პეკინი, 27 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც დღეს გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტს ბარჩეტს მისცა ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარემ გენერალმა ტიმაიამ. ტიმაიამ განაცხადა, რომ, მისი აზრით, არ უნდა მოხდეს კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა განთავისუფლების „გრაფიკის არავითარი ავტომატური გამოყენება“ და რომ ახსნაგანმარტებითი მუშაობის პერიოდი უნდა გაგრძელდეს.

კორესპონდენტის სიტყვით, ამერიკელები მტკიცედ ადგანან იმ აზრს, რომ ყველა სამხედრო ტყვე უნდა „განთავისუფლდეს“ 22 იანვარს. მათივე მოთხოვნით 23 დეკემბერს შეწყდა ახსნაგანმარტებითი მუშაობა, თუმცა კორეა-ჩინეთის მხარე 90 დღიდან, რაც გათვალისწინებული იყო დაზავების შესახებ შეთანხმებით, ამ მუშაობას ეწეოდა მხოლოდ 10 დღეს.

უპასუხა რა კონკრეტულ კითხვაზე: რადგან ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ არ უზრუნველყო ახსნაგანმარტებითი მუშაობის წარმოება ოფიციალურად ორივე მხარეს, ამ მუშაობის ოფიციალურ კონფერენცია არ არის მოწვეული, გრაფიკის ავტომატური გამოყენებით უნდა გადაწყდეს თუ არა სამხედრო ტყვეთა ბედი, ტიმაიამ განაცხადა: „ამაზე უკვე უპასუხა ჩემმა პრემიერ-მინისტრმა. პოლიტიკური კონფერენცია დაზავების შესახებ შეთანხმების შემადგენელი ნაწილია. არ არის საჭირო დაკიცვათ გრაფიკის უკანასკნელი ნაწილი, თუ პოლიტიკური კონფერენცია არ მოწვეულა. ასეთია პრემიერ-მინისტრის თვალსაზრისი. მე მას მხარს ვუჭერ“.

გენერალ ტიმაიას სიტყვით, გრაფიკის ავტომატური გამოყენება ისეთ მდგომარეობაში, როცა 20 ათას კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეს არ ჰქონია შესაძლებლობა დასწრებოდა ახსნაგანმარტებითს საუბრებს, „უსამართლო იქნებოდა“.

საგაფიცვო ბრძოლა საფრანგეთში

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთში გრძელდება ფოსტის მუშაკთა გაფიცვა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაიწყო შრომის საყოველთაო კონფედერაციის ფედერაციებისა და ავტონომიური პროფკავშირების მოწოდებით. როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაფიცულები მოითხოვენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პირველად გაფიცვაში მონაწილეობდნენ ვაგზლების ფოსტის მოსამსახურეები, მაგრამ, როგორც პრესა იუწყება, იგი გავრცელდა ტელეგრაფის მუშაკებზეც.

პარიზის ბევრ ვაგზალში დიდი რაოდენობით დაგროვდა საფოსტო გზავნილებანი, რომლებსაც არ არჩევენ და არ აგზავნიან. მაგალითად, პარიზის ჩრდილოეთ ვაგზალში უკვე 32 ათასი ტომარა არის ფოსტით.

გუშინ გაიმართა ფოსტის მოსამსახურეთა საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენელთა კრება, რომელზეც გადაწყდა განაგრძონ გაფიცვა, რადგან ადმინისტრაციამ უარი თქვა მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კრებამ გამოყო ავრეთვე დელეგაცია ფოსტის მუშაკთა ფედერაციასთან მოსალაპარაკებლად, რომ იგი შეუერთდეს გაფიცვას. ფოსტის მუშაკთა ფედერაცია შედის პროფკავშირულ გაერთიანება „ფორს უვრიერში“.

გრძელდება საფრანგეთის სამოქალაქო აეროდრომების მუშაკთა საგაფიცვო ბრძოლა. სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობამ პრეს-კონფერენციაზე დაადასტურა, რომ „იმას გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს გაფიცვა მანამდე, სანამ სახელმწიფო ხელისუფალნი მხედველობაში არ მიიღებენ ავიაციის მუშაკთა მოთხოვნებს“.

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ქალაქ გლოზგოში ავტობუსების მძღოლებმა და კონდუქტორებმა გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გაფიცვამ, როგორც აღნიშნავს სააგენტო, შეაჩერა ქალაქის თითქმის მთელი ტრანსპორტი.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჟურნალი „თეჰრანე მოსავარი“ იუწყება, ჰუზისტანის პროვინციიდან დაბრუნების შემდეგ ირანის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობის ამსრულებელმა ჯაჰანბანიმ მოახსენა პრემიერ-მინისტრს, რომ ჰუზისტანის მუშები აპირებენ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ და რომ მოსალოდნელია არეულობა. ამასთან დაკავშირებთან თავვრობამ დადესტანი დანიშნა ჰუზისტანის პროვინციის გენერალ-გუბერნატორად, რადგან დადესტანმა თეირანის სამხედრო გუბერნატორად ყოფნის დროს დაამტკიცა, რომ მას „შეუძლია გაუმკლავდეს უკიდურეს მემარცხენე ელემენტებს“.

ამერიკის „დახმარება“ პაკისტანისადმი

კარაჩი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „იმროზის“ კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ტექნიკური დახმარების ამერიკული პროგრამის საფუძველზე 1954 წელს პაკისტანს მისცეს 20 მილიონი დოლარი.

იაპონიის მოსახლეობის რაოდენობა

შანხაი, 26 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის გაზეთი „ციუბუ ნიპონი“, იმოწმებს რა მინისტრთა კაბინეტთან არსებული სტატისტიკური ბიუროს ცნობას, აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით იაპონიის მოსახლეობა შეადგენს 87.033 ათას კაცს.

საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობა

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). სტატისტიკისა და ეკონომიკის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, საფრანგეთის მოსახლეობა ამჟამად 43 მილიონ კაცს შეადგენს.

თბილისი

აღდგენილია ქართული ღვინოების წინანდელი სახელწოდებანი

ქართული ღვინოები ძველთაგანვე განთქმული იყო თავისი საუცხოო თვისებებით და მომხმარებელი მათ იცნობდა იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა მიხედვით, სადაც ისინი მოჰყავთ, ან ყურძნის ჯიშის მიხედვით. ამ ღვინოებს ასე იცნობდნენ საქართველოში, ასე იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ მომხმარებელი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როცა დაიწყეს ქართული ღვინოების გამოშვება ნომრებით.

ახლა საქართველოს ღვინის მრეწველობამ აღადგინა ქართული ღვინოების წინანდელი სახელწოდებანი. 1954 წლის პირველი კვარტალის ბოლოდან სამარკო ღვინოები გამოშვებულ იქნება არა ნომრებით, არამედ წინანდელი სახელწოდებებით.

იმ ღვინის ბოთლის ლამაზ ეტიკეტს, რომელიც წინათ № 1-ით გამოდიოდა, ექნება წარწერა: „წინანდალი“. მაზედვენო ნომრების ღვინოებს ექნებათ სახელწოდება: „თელიანი“ (წითელი), „გურჯაანი“ (თეთრი), „მუკუზანი“ (წითელი), „საფერავი“ (წითელი), „სუფრის ღვინო“ (თეთრი), „ცოლიკაური“ (თეთრი), „კახური“ (თეთრი), „მუხრანული“ (თეთრი), „სუფრის ღვინო“ (თეთრი), „ჩხავერი“ (თეთრი), „ტიბაანი“ (თეთრი), „პორტვეინი“ (თეთრი), „კარდანახი. პორტვეინი“ (თეთრი), „ხირსა. პორტვეინი“ (თეთრი), „ანაგა-მადერა“, „სალხინო-ლიქორული“, „პორტვეინი“ (თეთრი), „ტვინში“ (ნახევრადტკბილი), „ხვანჭკარა“ (ნახევრადტკბილი), „უსახელაური“ (ნახევრადტკბილი), „ქინძმარაული“ (ნახევრადტკბილი), „სუფრის თეთრი“, „ოჯალეში“ (ნახევრადტკბილი).

გაუქმებულია გამოშვება შუშხუნა ღვინისა, რომელიც წინათ № 25-ით გამოდიოდა („მადათა“). მის ნაცვლად გამოშვებულ იქნება ღვინო „იფხაზეთის თაიგული“.

დაწყებულია ღვინომასალის დამზადება ახალი მარკის ღვინოების გამოსაშვებად (1955-1957 წლებიდან). სათვალავით ოცდამეექვსე ღვინოს ერქმევა „ნიფარეული“ (წითელი), ხოლო მომდევნო ღვინოებს: „რქაწითელი“ (თეთრი), „კახური“, „მადერა“, „კაგორი“, „საამო“, „ფერსათი“ და „ატენური“.

ჯ. კეტრიაშვილი.

ზინასაახალწლო ვაჭრობა

მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გადიდებულია წინასაახალწლო ვაჭრობის საათები. 29, 30 და 31 დეკემბერს თბილისის სასურსათო და პურის ყველა მაღაზია იმუშავებს ღამის 12 საათამდე, სამრეწველო საქონლის მაღაზიები — 10 საათამდე.

30 და 31 დეკემბერს რესტორანები და სასადილოები მშრომელებისაგან მიიღებენ საკულინარო და საკონდიტრო ნაწარმთა შეკვეთებს სახლში წასაღებად. 31 დეკემბერს რესტორანებსა და სასადილოებში მოეწყობა საახალწლო შეზვედრები.

საახალწლო ვაჭრობა საკოლმეურნეო ბაზრებში

ახლოვდება ახალი წელი. ამ დღეებში განსაკუთრებული გაცხოველებაა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში. დიდძალი პროდუქტები მოდის ამ ქალაქის საკოლმეურნეო სოფლებიდან.

კვირას თბილისის სტალინის რაიონისა და კიროვის რაიონის დახურულ საკოლმეურნეო ბაზრებზე წითელწყაროს, ბოლნისისა და სხვა რაიონებმა დიდი რაოდენობით ჩამოიტანეს გოჭი, ფრინველი, ცხვარი. ამ დღეს მარტო კიროვის რაიონის დახურულ საკოლმეურნეო ბაზარში გაიყიდა დიდძალი ხორცი, თოფლი, ფრინველი, 3 ტონა სიმინდის ფქვილი, 16 ტონა კარტოფილი, 22 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები და სხვ.

ამ დღეებში პროდუქტებს მოელიან კიდევ მარნეულის, თიანეთის, ახმეტის, გორის, ახალქალაქის, ახალციხის, წალკის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებიდან. აქვარდან მოაქვთ ციტრუსები.

სურათზე: წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებიდან საახალწლოდ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად გამოგზავნილი პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანების კოლონა ლენინის სახელობის მოედანზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

არდადეგები სკოლებში

რესპუბლიკის დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მთავრდება მეორე მეოთხედი. დღეს, 29 დეკემბერს გაკვეთილების შემდეგ დაიწყება მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები, რაც გაგრძელდება 1954 წლის 11 იანვრამდე.

ბევრი საინტერესო გასართობი ელის არდადეგების დღეებში მოსწავლეებს. საქართველოს პროფსაბჭო თბილისის რკინიგზელის სახლში და პლეხანოვის სახელობის კლუბში მართავს დიდ საქალაქო ნაძვისხეებს, რომლებსაც დაესწრება 25.000-მდე ბავშვი. საქალაქო ნაძვისხეები მოეწყობა აგრეთვე გორში, რუსთავში, ქუთაისში, სუხუმში, ბათუმში, სტალინირში, ზესტაფონში, სამტრედიაში, წითელწყაროში, მუშახტეთა ქალაქებში — ტყვარჩელში, ტყიბულში. ნაძვისხეებთან გამართულ დილებში მონაწილეობას მიიღებენ რეს ბუნტის საუკეთესო მსახიობები.

არდადეგების დღეებში მოეწყობა მოსწავლეთა შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან, გაიმართება სბავშვო დილები, კონცერტები, მოეწყობა ექსკურსიები, ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. თბილისელი ბავშვები გაემგზავრებიან გორში, სამგორში, საგურამოში, რუსთავში და სხვ.

თეატრებსა და კინოებში სისტემატურად გაიმართება დღის სპექტაკლები და სეანსები. ნაჩვენები იქნება საბავშვო დადგმები და კინოსურათები.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი, **გრიბოედოვის სახელობის** — მეთოვლია (ახალი სპექტაკლი), **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები (ახალი სპექტაკლი), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (ბრონენმენტი № 19, 10), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ეფცერი სიმდიდრე (7 ს.), **სანიტარული კულტურის** — უკანასკნელი ნიღაბი, **თოჯინების ქართული** — ალადინის ჯადოსნური ლამპარი (2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, ვოროშილოვის სახელობისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — ორი ბატონის მსახური, **კოლხიდა, კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — მზითვიანი ქორწილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

29 დეკემბერს	ჟ. ბიზე — **კარმენი**
30 დეკემბერს	დ. თორაძე — **მშვიდობისათვის** (ვ. პაბუკიანის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ყურადღება!

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობა აცხადებს, რომ მაღაზიებში: № 1 — რუსთაველის პროსპ. № 1, № 2 — პუშკინის ქ. № 7, № 3 — კიროვის ქუჩა № 4, № 4 — ლენინის ქ. № 29, № 8 — ლენინის ქ. № 63, № 18 — დავითაშვილის ქ. № 9 გამოყოფილია კუთხეები, სადაც გაიყიდება საახალწლო საჩუქრები ბავშვებისათვის.

მეუღლე ნადია, შვილი გიზო, რძალი ნინო, ძმისწულები მზია, იუზა იუწყებიან **ალექსანდრე არტემის-ძე კამლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XII, 8 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. სანაპიროს ქ. № 5.

მზია ჯუღელი, თამარ, პირმზე ღამბაშიძეები, პანტელეიმონ მშედლიძე, არკადი არხანგელსკი შვილებით იუწყებიან **ბიძის ალექსანდრე არტემის-ძე კამლაძის** გარდაცვალებას.

შვილები ლილი, თინა, სიძეები ენუქ გუგუშვილი, ალექსანდრე მაღლაკელიძე, შვილიშვილები ნანა, გივი, მედეა, მანანა, ლადო იუწყებიან **მატრონა ალექსანდრეს ასულ მამფორიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 4 ს. ათარბეგოვის ქ. № 36.

ბიძა მაქსიმე, ბიძაშვილები გიორგი, ალიოშა, გრიგოლ, ზაქრო, თამარ, ლუბა ღლონტები, რძლები ნუნუ მენაღარიშვილი, ლეილა ინწკირველი, ნინო ცინცაბაძე, სიძეები ს. გოლიადე, ი. წულაძე შვილებით იუწყებიან **თეკლე მოსეს ასულ ღლონტი-ძნელაძის** გარდაცვალებას.

საქსოფლენერგოს რესპუბლიკური კანტორის კოლექტივი იუწყება **ნელი სანდომისაშვილის** გარდაცვალებას.

თამარ, ქეთო, კიტა და დავით გოგოლაშვილები ოჯახებით იუწყებიან დეიდის **ანა ისიდორეს ასულ მხეიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XII, 8 ს. გამოსვენება 31-XII, 2 ს. ენგელსის ქ. № 38.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **პროკოფი პროხორის-ძე ოისავას** გარდაცვალებას.

შვილი ლუბა, სიძე საშა, შვილიშვილი ნაზი კიკვაძეები იუწყებიან **დესპინე დიმიტრის ასულ ხაზ